წესდება English League

ზოგადი დებულებები

1.1 **English League** წარმოადგენს სამ ეტაპიან ინგლისური ენის ოლიმპიადას, რომელიც ორგანიზებულია **The English Academy**-ის მიერ

1.2 ოლიმპიადა განკუთვნილია 11–17 წლის მოსწავლეებისთვის

1.3 ოლიმპიადის მიზანია:

- მონაწილეთა ინგლისური ენის ცოდნის შეფასება;
- ნიჭიერი და მოტივირებული ახალგაზრდების გამოვლენა;
- სწავლისადმი ინტერესისა და მოტივაციის გაზრდა;
- აკადემიური განვითარების ხელშეწყობა პრიზებისა და საგრანტო სისტემის მეშვეობით

1.4 ოლიმპიადაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და გულისხმობს წინამდებარე წესდების სრულ მიღებას

2. ასაკობრივი კატეგორიები

2.1. ოლიმპიადა ტარდება შემდეგ სამიზნე ასაკობრივ კატეგორიებში:

11–13 წელი

14–15 წელი

16–17 წელი

2.2. ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება აქვს მოსწავლეს, რომლის ასაკი რეგისტრაციის მომენტში არის **ნაკლები ან ტოლი 17 წლისა**

2.3. თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში გამოვლინდება გამარჯვებული

2.4. ასაკობრივი კატეგორიის განსაზღვრა ხდება მონაწილეს დაბადების თარიღის მიხედვით რეგისტრაციის მომენტში

3. ოლიმპიადის სტრუქტურა და ეტაპები

3.1. ოლიმპიადა შედგება სამი ეტაპისგან:

- I ეტაპი – შესარჩევი
- II ეტაპი – ნახევარფინალი
- III ეტაპი – ფინალი

3.2. თითოეული ეტაპის ფორმატი, შინაარსი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება ორგანიზატორის მიერ

3.3. ოლიმპიადის ყველა ეტაპი ტარდება **ოფლაინ რეჟიმში**, ორგანიზატორის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ლოკაციაზე

3.4. ორგანიზატორი უფლებამოსილია შეცვალოს ეტაპების ჩატარების თარიღები, დრო ან ლოკაცია ფორსმაჟორული ან ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რის შესახებაც მონაწილეები და მშობლები წინასწარ იქნებიან ინფორმირებული

4. რეგისტრაცია და მონაწილეობა

4.1.ოლიმპიადაში მონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე

4.2.არასრულწლოვანი მონაწილეების შემთხვევაში რეგისტრაციას ახორციელებს მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი

4.3.რეგისტრაციისას მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და სრული

4.4.მონაწილე ვალდებულია გამოცხადდეს შესაბამის ეტაპზე/ტესტირებაზე **დაწყებამდე არანაკლებ 1 საათით ადრე**, რეგისტრაციისა და ადმინისტრაციული პროცედურების გასავლელად, თან იქონიოს პირადობის მოწმობა/დაბადების მოწმობა

4.5.დაგვიანების შემთხვევაში ორგანიზატორი უფლებამოსილია არ დაუშვას მონაწილე ტესტირებაზე და აღნიშნული არ წარმოადგენს გასაჩივრების საფუძველს

4.6.ორგანიზატორი იტოვებს უფლებას, უარი თქვას მონაწილეობის მიღებაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში

5. შეფასების სისტემა

5.1.შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული აკადემიური კრიტერიუმების მიხედვით

5.2.თითოეული ეტაპის შედეგები საბოლოოა შესაბამისი ეტაპისთვის

5.3.ჟიური/შემფასებლები დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას და მათი შეფასება არ ექვემდებარება ცვლილებას, გარდა ტექნიკური შეცდომის დადასტურებული შემთხვევისა

6. ოლიმპიადის ეტაპები, კითხვების რაოდენობა,პასუხების ტიპი და დრო

პირველი ეტაპი

- ასაკი 11–13 წ.: გამსვლელი 75%, 30 კითხვა, მრავალსარჩევი (A, B, C), დრო 1 საათი
- ასაკი 14–15 წ.: გამსვლელი 75%, 40 კითხვა, მრავალსარჩევი (A, B, C), დრო 1 საათი
- ასაკი 16–17 წ.: გამსვლელი 75%, 40 კითხვა, მრავალსარჩევი (A, B, C), დრო 1 საათი

მეორე ეტაპი

- ასაკი 11–13 წ.: გამსვლელი 15%, 40 კითხვა, მრავალსარჩევი (A, B, C, D), დრო 1,5 საათი
- ასაკი 14–15 წ.: გამსვლელი 15%, 50 კითხვა, მრავალსარჩევი (A, B, C, D), დრო 1,5 საათი
- ასაკი 16–17 წ.: გამსვლელი 15%, 50 კითხვა, მრავალსარჩევი (A, B, C, D), დრო 1,5 საათი

ფინალი

- ასაკი 11–13 წ.: 40 კითხვა, მრავალსარჩევი, Listening 5 კითხვა, Writing 10 ქულა, დრო 2 საათი
- ასაკი 14–15 წ.: 50 კითხვა, მრავალსარჩევი, Listening 5 კითხვა, Writing 10 ქულა, დრო 2 საათი
- ასაკი 16–17 წ.: 50 კითხვა, მრავალსარჩევი, Listening 5 კითხვა, Writing 10 ქულა, დრო 2 საათი

შენიშვნა: ფინალური ტესტის შეფასება ითვალისწინებს ყველა კომპონენტის წონას: მრავალსარჩევი, ლისენინგი და წერა. საბოლოო ქულას აფიქსირებს ჟიური.

7. გამარჯვებულები, პრიზები და გრანტები

7.1. თითო ასაკობრივ კატეგორიაში ფინალური ეტაპის შედეგების მიხედვით გამოვლინდება გამარჯვებული

7.2. გამარჯვებულები მიიღებენ ორგანიზატორის მიერ განსაზღვრულ ფინალურ პრიზებს

7.3. ფინალში ვერ გადასული მონაწილეებიდან, **თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში ჯამში 30 მონაწილე** მიიღებს საგრანტო ვაუჩერებს ერთ აკადემიურ წელზე შემდეგი განაწილებით:

- 2X50% გრანტი
- 3X30% გრანტი
- 5X20% გრანტი

7.4. გრანტების რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება თითოეულ კატეგორიაში განისაზღვრება ორგანიზატორის მიერ, მონაწილეთა შედეგების მიხედვით

7.5. გრანტები მოქმედებს მხოლოდ **The English Academy**-ში, არ ექვემდებარება გადაცემას სხვა პირზე და არ გადაიცემა ფულად ანაზღაურებაში

7.6. გრანტის გაუქმება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

- რეგისტრაციისას ან ოლიმპიადის პროცესში არასწორი ან ყალბი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში;
- ოლიმპიადის ნებისმიერ ეტაპზე აკადემიური არაკეთილსინდისიერების დადასტურების შემთხვევაში;
- ქცევის წესების ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ქცევის კოდექსის უხეში დარღვევის შემთხვევაში;
- გრანტის გამოყენების პირობების დარღვევის შემთხვევაში (მათ შორის, გადაცემის მცდელობა ან არამიზნობრივი გამოყენება);
- The English Academy-ის შიდა წესებისა და სასწავლო რეგლამენტის სისტემატური დარღვევის შემთხვევაში

7.7. გრანტის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ორგანიზატორი და იგი არ ექვემდებარება გასაჩივრებას, გარდა დადასტურებული ადმინისტრაციული შეცდომისა

8. სერტიფიკატები

8.1. ოლიმპიადის ყველა მონაწილე მიიღებს ერთიანი ფორმატის სერტიფიკატს (A4, ფერადი)

8.2. სერტიფიკატი ადასტურებს ოლიმპიადაში მონაწილეობას და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას:

- CV-ში
- აკადემიურ პორტფოლიოში
- სასკოლო და საგანმანათლებლო აქტივობების დოკუმენტაციაში

8.3. სერტიფიკატის დიზაინი და შინაარსი განისაზღვრება ორგანიზატორის მიერ

9. ქცევის წესები და დისციპლინა

9.1. მონაწილეები ვალდებულნი არიან დაიცვან აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები

9.2. აკრძალულია:

- აკადემიური არაკეთილსინდისიერება;
- სხვისი დახმარების გამოყენება;
- დაუშვებელი დამხმარე მასალების ან ტექნიკური საშუალებების გამოყენება

9.3. წესების დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორი უფლებამოსილია მონაწილე დისკვალიფიცირებულად გამოაცხადოს შედეგების გაუქმების უფლებით.

10. პრეტენზიების და საჩივრების მართვა

10.1. მონაწილეს, აგრეთვე მის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს, უფლება აქვს წარადგინოს წერილობითი საჩივარი ან პრეტენზია ოლიმპიადის მიმდინარეობასთან, შეფასებასთან ან შედეგებთან დაკავშირებით

10.2. პრეტენზია უნდა წარდგენილ იქნას შესაბამისი ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში

10.3. ორგანიზატორი ვალდებულია განიხილოს პრეტენზია და გასცეს ოფიციალური პასუხი 5 სამუშაო დღის ვადაში

10.4. ჟიურის აკადემიური გადაწყვეტილებები საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას, გარდა დადასტურებული ტექნიკური ან პროცედურული ხარვეზისა

10.5. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი საჩივარი განიხილება მხოლოდ წერილობითი ფორმით და აკადემიური ეთიკის ფარგლებში

10.6. ემოციური, შეურაცხმყოფელი ან არაკონსტრუქციული შინაარსის საჩივარი არ ექვემდებარება განხილვას

10.7. საჩივრის განხილვის შედეგად ორგანიზატორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის საბოლოო

11. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

11.1. ორგანიზატორი არ არის პასუხისმგებელი:

- მონაწილეთა ტექნიკურ პრობლემებზე;
- ინტერნეტთან დაკავშირებულ შეფერხებებზე;
- მესამე პირების მიერ გამოწვეულ ხარვეზებზე

11.2. ორგანიზატორი უზრუნველყოფს ოლიმპიადის სამართლიან და გამჭვირვალე ჩატარებას არსებული რესურსების ფარგლებში

12. პერსონალური მონაცემების დაცვა

12.1. სარეგისტრაციო ფორმის შევსებით მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს, რომ ეთანხმება მისი და არასრულწლოვანი მონაწილის პერსონალური მონაცემების დამუშავებას მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად

12.2. დამუშავებადი მონაცემები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება: სახელი და გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, საკონტაქტო ინფორმაცია, სასწავლო დაწესებულების მონაცემები, გადახდის ინფორმაცია, ფოტო/ვიდეო მასალა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული სხვა მონაცემები

12.3. მონაცემების დამუშავების მიზანია: ოლიმპიადის ადმინისტრირება, მონაწილეთა იდენტიფიკაცია, შედეგების ფიქსაცია, სერტიფიკატების გაცემა, გრანტების ადმინისტრირება, კომუნიკაცია და ორგანიზაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა

12.4. ორგანიზატორი უფლებამოსილია მონაცემები დაამუშავოს როგორც ელექტრონულ, ასევე ფიზიკურ ფორმატში. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ თანამშრომლებს, კონფიდენციალურობის ვალდებულების საფუძველზე

12.5. პერსონალური მონაცემები არ გადაეცემა მესამე პირებს, გარდა:

ა) კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ტექნიკური მომსახურების მიმწოდებლებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ოლიმპიადის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას და ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალურობა

12.6. მონაცემები ინახება იმ ვადით, რაც აუცილებელია ოლიმპიადის მიზნების მისაღწევად და კანონმდებლობით გათვალისწინებული ფინანსური/ადმინისტრაციული ვალდებულებების შესასრულებლად

12.7. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს წერილობით მოითხოვოს:

- მონაცემებზე წვდომა;
- მონაცემების გასწორება ან განახლება;
- მონაცემების წაშლა კანონით დადგენილ ფარგლებში;
- მონაცემთა დამუშავების შეზღუდვა, თუ არსებობს კანონით განსაზღვრული საფუძველი.

12.8. რეგისტრაცია წარმოადგენს ნებაყოფლობით, ინფორმირებულ და ცალსახა თანხმობას მონაცემთა დამუშავებაზე აღნიშნული პირობების შესაბამისად

12.9. ორგანიზატორს უფლება აქვს გამოიყენოს მონაწილეთა ფოტო/ვიდეო მასალა საგანმანათლებლო და მარკეტინგული მიზნებისთვის, თუ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი არ გამოთქვამს წერილობით უარს

13. მშობლისა და კანონიერი წარმომადგენლის ქცევის კოდექსი

13.1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია ოლიმპიადის მიმდინარეობისას და შემდგომ კომუნიკაციაში დაიცვას კორექტული და ეთიკური ქცევის ნორმები

13.2. აკრძალულია ორგანიზატორის, ჟიურის, თანამშრომლების ან სხვა მონაწილეების მიმართ შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ან აგრესიული კომუნიკაცია

13.3. ყველა შეკითხვა, პრეტენზია ან საჩივარი უნდა წარდგენილ იქნას მხოლოდ ოფიციალური საკომუნიკაციო არხებით და წერილობითი ფორმით

13.4. ქცევის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორი უფლებამოსილია შეზღუდოს შემდგომი კომუნიკაცია ან უარი თქვას განმეორებით განხილვაზე

14. თანხის დაბრუნების წესი

14.1. ოლიმპიადაში რეგისტრაციის საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას, გარდა ამ მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა.

14.2. გადახდილი თანხა სრულად დაბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოლიმპიადა გაუქმდება ორგანიზატორის გადაწყვეტილებით და მონაწილეს არ მიეცემა ალტერნატიული თარიღი.

14.3. თუ მონაწილე ვერ გამოცხადდება ოლიმპიადაზე პირადი მიზეზით (მათ შორის ავადმყოფობა, გრაფიკის ცვლილება ან სხვა გარემოება), გადახდილი თანხა არ ბრუნდება.

14.4. ორგანიზატორი უფლებამოსილია ინდივიდუალურად განიხილოს თანხის ნაწილობრივი დაბრუნების საკითხი ფორსმაჟორული გარემოების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

14.5. თანხის დაბრუნების მოთხოვნა უნდა წარედგინოს ორგანიზატორს წერილობითი ფორმით ოლიმპიადის თარიღიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

14.6. თანხის დაბრუნების შემთხვევაში, თანხა გადაირიცხება მხოლოდ იმავე საბანკო ანგარიშზე, საიდანაც განხორციელდა გადახდა, 10 სამუშაო დღის ვადაში.

14.7. საბანკო საკომისიო და გადარიცხვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები, საჭიროების შემთხვევაში, აკლდება დასაბრუნებელ თანხას.

15.საჯარო ოფერტა და თანხმობა

15.1. ოლიმპიადაში რეგისტრაცია წარმოადგენს საჯარო ოფერტაზე სრულ და უპირობო თანხმობას

15.2. რეგისტრაციის განხორციელებით მონაწილე და მისი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებენ, რომ გაეცნენ წინამდებარე წესდებას და ეთანხმებიან მის ყველა დებულებას

15.3. ორგანიზატორი უფლებამოსილია დაამუშაოს მონაწილეთა პერსონალური მონაცემები ოლიმპიადის ადმინისტრირების ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

15.4. რეგისტრაციით მონაწილე და მშობელი ადასტურებენ თანხმობას ოლიმპიადის ფარგლებში გადაღებული ფოტო/ვიდეო მასალის გამოყენებაზე საგანმანათლებლო და საინფორმაციო მიზნებით, თუ წერილობით უარი არ არის დაფიქსირებული

15.5. ოფერტის პირობების დარღვევა შეიძლება გახდეს მონაწილის დისკვალიფიკაციის ან პრივილეგიების შეზღუდვის საფუძველი

16. დავების პრევენცია და რისკების მართვა

16.1. ორგანიზატორი უზრუნველყოფს ოლიმპიადის პროცესის გამჭვირვალობას, თუმცა მონაწილე და მშობელი აცნობიერებენ, რომ აკადემიური შეფასება სუბიექტურ ელემენტებს შეიცავს

16.2. შედეგებთან დაკავშირებული უთანხმოება არ წარმოადგენს ორგანიზატორის პასუხისმგებლობის საფუძველს, თუ პროცესი განხორციელებულია წესდების დაცვით

16.3. ნებისმიერი დაურეგულირებელი საკითხი გადაწყდება ორგანიზატორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე